

მეფემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის
დასადვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მთვე ცხოვარი ნემი წაწყედული. მარტო იყის სიხარულ
კათა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მთველით ნემბა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მომიწინ
და მე განგისვენათ თქვენ. მათ. 11. 26.

№ 19

1883—1900

15 ოქტომბერი

მათი ცოდნად უხმადვდლოცობის იმერეთის
ენისცი ზონის ლეონიდის მიბრძნება დაბა
კვირილაში.



კლომბის 4-ს, დილის 12 საათზე მათი
ყოვლად უსამდვდლოცობა, იმერეთის
ეპისკოპოსი ლეონიდი სახალხო მატარებ-
ლით წაბრძანდა ქუთაისიდან შორაპნის
მაზრაში, სოფელს სიქთარუსს, სადაც
მათი მეუფება მიწვეული ბრძანდებოდა
ახალი ეკლესიის საკურთხად. სვირის რკინის გზის
სადგურიდან მათი მეუფება ცხენით გაემგზავრა სო-
ფელს სიქთარუსს. მეორე დღეს, დილის ათ საათზე

დაიწყო ეკლესიის კურთხევა და შემდეგ წირვა,
რომელიც გათავდა ნაშუადღევს პირველ საათზე.
როგორც ეკლესიის კურთხევაზე, ისე წირვაზე აღ-
გლოზებითი სამრევლოსი გარდა დაესწრო აუარებე-
ლი ხალხი, რომელიც მოსულიყო მახლობელი სოფ-
ლებიდან თავისი ახალი მწყემს-მთარის სანახავად
და ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ამ დღეს მათი
მეუფება მიპატყებული ბრძანდებოდა სადილოზე თა-
ვად იაშუილიან. ნასადილევს მათი მეუფება გაემგ-
ზავრა დაბა ყვირილაში, სადაც მიბრძანდა საღამოს
ხუთ საათზე. მათი მეუფება პირ და პირ ყვირილის
ახალ ეკლესიაში მიბრძანდა. ეკლესიის ეზოში
ერთ მხარებზე ჩამწყობებულნი იყვნენ ყვირილის სამ-
რევლო სკოლის მოსწავლენი, ხოლო მეორეს მხრით
ნორმალური სასწავლებლისა, ტაძრის კარებში მათ
მეუფებას ჯვრით და აიხმის წყლით მიეცება სამ-





ღვდლოება. ჯვარზე მთხვევის და აიზმის წყლის სხურების შემდეგ ყვირილის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა დავით ლამაშიძემ მათ მეუფებას მიახსენა შემდეგი სიტყვა:

„ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! როცა მზე ანათებს, ვარსკვლავები აღარ სჩანან. დღეს შენ წინაშე ჩვენ უფრო შევგებუნენის სიჩუმე, სმენა და ყურადღება, ვინემ სიტყვა. მაგრამ მორჩილად ვთხოვთ, მწყემსთ-მთავარო, ნება გვიბოძოთ ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ იმ გრძნობის და გულის თქმის შესახებ, რომელიც შენმა მობრძანებამ და ხილვამ დაბლა ჩვენ ყოველთა შორის. ამ გრძნობის და გულის თქმის ცხადი გამომხატველია ის აღტაცებითი სიხარული, რომლითაც გვეგებება შენ შენი ახალი სამწყსო ყოველს ადგილას. აი ამ სიხარულმა და თქვენმა სიყვარულმა შეჭკობა ამ საათში ჩემი სამწყსო, მრეელი ამა ჩინებული ტაძრისა და თავის ეკლესიაში გვეგებება თქვენ, რომ გინილოს პირისპირ და მიიღოს ლოცვა-კურთხევა თავისი ახალი, საიმედო და საყვარელი მწყემსთ-მთავრისაგან. ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! იმერეთის სამწყსო დიდი ხანია შენსკენ ქაიდა მოქუთუხილი თვალი, გული და გონება და, როცა იგი ვიერსა თქვენს ხილვას თავის მწყემსთ-მთავრად, რასაკვირველია, იგი აღტაცებით გვეგებება თავის მწყემსთ-მთავრს. ამ მთელი სამწყსოსი ერთობილ აღტაცებას და სიხარულს იწვევს კიდევ სულ სხვა გარემოება და მოსაზრება, რომელნიც ზოგიერთ გარემუე მაყურებელთათვის აუხსნელი და განუმარტებელი რჩება, ან თავისებურად განმარტებენ იგინი.

„ღვთის განგებით თქვენდამი წილხდამილის სამწყსოსის ყველა სულიერი შენი შვილი ცხადათ ხელდას, რომ ქრისტეს ყანაში აღმოკვირდენ მრავალი მავნებელი ბალახნი, რომელნიც შესამჩნევად შეაშთობენ კეთილი თესლის ნაყოფთა. ქრისტიანე ერი შენი სამწყსოსისა სასოვებს, რომ შენ, საიმედო მწყემსთ-მთავარი განსწმენდ ამა მავნე ბალახთაგან ქრისტეს ყანას: მორწმუნენი განიხარებენ, რომ ღვთის განგებით მიენიჭა მათ მღვდელთ-მთავარი, აღკურვილი ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოებითა, იგინი ხელდენ შენში მტკიცე სვეტს და ჭეშმარიტების სიმტკიცეს, სუსტნი და გულგარდნილი მოელიან სარწმუნოებაზე განმტკიცებასა, მწუხარენი ქრისტიანობრივი ზნეობის საზოგადოდ დამდამბლე-

ბაზე განიხარებენ, მასოებელნი, რომ შენი სიტყვა-მოძღვრებით და წმიდა ცხოვრების მაგალითით აღამალლებ ჩვენში ზნეობასა; უსწავლენი მოელიან სწავლა-მეცნიერებასა; სწავლულნი ხელდენ თქვენში საიმედო ხელმძღვანელს და გზის მაჩვენებელს; მოლღვინი და მაშურალნი განიხარებენ, რომ ელირს მათ მწყემსთ-მთავარი, რომელიც გაიმხნევებს მათ და ახალი შრომისთვის ძალას მიანიჭებს; დიაგნოზულნი ხელდენ ქომავსა; დენულნი სიმართლისათვის და შევიწროებულნი შურითა და მტრობითა განიხარებენ, ეინილდენ შენში, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, ხელდენ საიმედო და სანატრელ მოსარჩლესა და საზოგადოდ ყველანი ხელდენ ერთგულ მწყემსთ-მთავარსა, რომელიც მხად იქნება ყოველი გაქირვება დათმინოს, რომ არ დაუკარგოს არც ერთი ცხოვარი უფალსა. აი ჭეშმარიტი საფუძველი იმ სიხარულობით და სიყვარულობით გიგებებათა, რომლითაც ასე ცხადად გვეგებება შენ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო, ყველგან შენი სამწყსო“.

„შემობრძანდი, წმიდაო მეუფეო, ამ ტაძარში, რომელიც აგებულია არგვეთის მთავარ მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელზე და აკურთხა შვილი, შემაღლნი ამა ტაძრისანი შენი მწყემსთ-მთავრული კურთხევათა. ჩვენ ყველანი ერთად ევედრებით მთავარ მოწამეთა დავით და კონსტანტინეს, რომ იგინი გეყოსთ შენ მცოხ და მფარველად შენი დიდი და ძნელი მოვალეობის აღსრულების საქმეში. ვევედრებით უფალს, რომ მან მოგანიჭოს კეთილ-ღვებობა და მშვიდობით ცხოვრება, სიმრთელე და ყოველსა საქმესა შინა კეთილწარმატება მრავალსა წველსა“.

მგლობელთა გუნდმა, რომელიც შემდგარი იყო სამრევლო და ნორმალურ სასწავლებლების მოწაფეთაგან ლ. კელენჯირის ლოტბარობით იგლოობეს ღირსა-არსი და მკირე ლიტვის შემდეგ მრავალ-ეამიე-ობითი ჩვეულებრივი მოხსენება წარმოითქვა. მგლობელთა იგლოობეს „მრავალ-ეამიერ“-ი. ზოლოს მათმა მეუფებამ გრძნობით საცხე სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვაში ის აზრი გვატარა, რომ კაცი ხშირად სანამ ზოგიერთი ხალხის სულიერ მდგომარეობას შეიტკობდეს, მანოამდისინი გარეგნობის შეხედულებით მიხედება მათ სულიერ მისწრაფებას, მათ რწმენას და ზნე-ხასიათთა. ყოველი კაცი დიდ სიამოვნებას გრძნობს, როცა საზო-

გადღებაში, ან რომელიმე მხარეში ხედავს ისეთ გარეგან ნიშნებს, რომელნიც ამტკიცებენ ხალხის ქრისტიანულ სარწმუნოებას და კეთილმისწრაფებას. „აი სწორედ, ბრძანა მათმა მეუფებამ, ფრიად სასიამოვნო არის ჩემთვის ნახვა ამ თქვენი მშვენიერი დიდებული ტაძრისა. ამ ტაძრის შემწეველი, რასაკვირველია, კარგ აზრს შეადგენს მრევლის სარწმუნოებაზე და უნებლიეთ იტყვის, რომ ჭეშმარიტად ამ ეკლესიის მრევლს ჰყვარებია ღვთის მსახურება და ჰქონია ქრისტიანული გრძობა და სიყვარული ღვთის ტაძრისათ. შეიძლება, რომ ყველა მრევლმა არ მიიღოს მონაწილეობა ტაძრის შენობაში, შეიძლება, რომ ტაძარი ააშენოს ერთმა ან რამდენიმე პირმა, მაგრამ ეს გარეგანი მხარე მთელს მრევლს აღამაღლებს მნახველის თვალში. ისიც დიდად მოსაწონი და საქებაა, როდესაც ამისთანა ქველის მოქმედთა იძლევა რომელიმე საზოგადოება. ძლიერ სასიხარულო და სასიქადულოა ჩვენს დროში ხილვა ამისთანა ტაძრებისა, მაგრამ უმეტესად სასიხარულო და სანატრელი იქნება, თუ ეს თქვენი დიდი ტაძარი ისე იყება ხოლმე წირვა-ლოცვის დროს მლოცველებით, როგორც ეხლა ვხედავ ჩემს მოსვლის დროს; უმეტესად სასიხარულო იქნება, თუ ხშირად დადინარა ამ ეკლესიაში და ისმენთ მოძღვრის სიტყვა-ქადაგებას, სახარების სიტყვებსა და თქვენს ცხოვრებას შეათანხმებთ საღმრთო-წერილის დარიგებას და მწყემსთა მოძღვრებას“. ახალი მღვდელთ-მთავრის ტკბილია და გრძობით საცხე საუბარმა მშვენიერი შთაბეჭდილება იქონია ყველა მსმენელზე. ხალხმა მიიღო მწყემსთ-მთავრის ლოცვა-კურთხევა და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა შინ.

ეკლესიადამ მათი მეუფება მიბრძანდა ამ ჩინებული ტაძრის ამშენებლის გედევან ზ. ჩუბინიძისს, სადაც მიირთვა ჩაი. ჩაის მირთმევის შემდეგ მათი მეუფება წაბრძანდა დეკანოზ დ. ლამაზიძესთან, სადაც გაათია ღამე. მეორე დღეს მათმა მეუფებამ დაათვალიერა ყვირილის ეკლესიის სამრევლო სკოლა, რომელშიაც ოთხმოც მოსწავლენე მეჭია. ამ სკოლაში მათმა მეუფებამ დაწვლილებით გამოსცადა მოსწავლეები ორივე განყოფილებაში და დიდად სასიამოვნოდ დაურჩა მოსწავლეთა ცოდნა და მშვენიერი მეცადინეობა მოსწავლეებელთა. სამრევლო სკოლიდან მათი მეუფება წაბრძანდა ყვირილის ნორმალურ სასწავლებელში და ორივე

კლასი დაათვალიერა. სკოლების დახვედის შემდეგ მათი მეუფება 12 საათზე წაბრძანდა სოფელს ტაბაკინს, სადაც მიბრძანდა პირველ საათზე. მათი მეუფება პირ და პირ ეკლესიაში მიბრძანდა; აქ მათ მეუფებას მიეგება ტაძრის წინამძღვარი, სკოლის შეგირდები და მრევლი. მცირე ჩვეულებრივ ლიტის შემდეგ, მათმა მეუფებამ მიმართა ხალხს სიტყვა-მოძღვრებით. სიტყვა-მოძღვრებაში მათმა მეუფებამ გაატარა ის აზრი, რომ ქრისტიანე კაცს ყველასთან მშვიდობა უნდა ჰქონდეს, ნიადგ ცდილობდეს შესწავლოს და მტკიცედ აასრულოს ღვთის მცნება, უყვარდეს ერთმანეთი და ეცადოს, რომ თუ ვისთანმე სიძულვილი აქვს და უკმაყოფილება, მზის ჩასვლამდის შეუიოგდეს მასო. ამასთან მოუთხრა მსმენელთ ვრცელი დარიგება შეიღების აღზრდის შესახებ და მშობლების დიდი მოვალეობა ღვთის წინაშე, რომ შეიღები არ დატოვონ აღუზრდელად, რომ თავიანთ შეიღებს სიხალისით აღევდენ სასწავლებელში. ამ ეკლესიასთან არის წერაკითხვის სკოლა, რომელშიაც მათი მეუფება შებრძანდა და გამოსცადა შეგირდები. ბოლოს მათმა მეუფებამ დაათვალიერა არქიერის სასახლის მამულები, მდებარენი ამ სოფელში. მამულები ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაში ნახა. ტაბაკინის შესანიშნავი ვენახები მთლად გაუჩანდებოდა ფილოქსერას და მოიჯარადრეებსაც არავითარი ღონე არ უხმარიათ მამულების გაუმჯობესების შესახებ.

ნ ოქტომბერს მათი მეუფება დაბრუნდა ყვირილაში და ზუთ საათზე რკინის გზით წაბრძანდა ქუთაისში. ყვირილაში და ტაბაკანში მათ მეუფებას ყველგან თან ახლდენ ადგილობრივი ბლაღოჩინი დეკ. დ. ლამაზიძე და სამრევლო სკოლების ეპარქიის მეთვალყურე მღვდელი მამა მელიტონ კელენჯერიძე.





ზვიადნი წინაჟი ჯვარისა.

ვისილავ რა ზატოსანსა ჯვარსა, მვისგე წარმომიდგების თვით ჯვარ-ცმული, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მკონდების მისი აუწერელი ტანჯვა-წვალება და სიკვდილი, განსაკუთრებით. მასსენდების მისი სიტყვა, წარმოქმული სულის განტყვევის წინად მძრის მიღების მედეგ: „აღსრულებულარს!“ სიტყვა ესე დიდ მნიშვნელოვან და ჭასროვანია, იგი ბევრს, ბევრს რასმეს შეუბნება.

«აღსრულებულარს!» — აღსრულად ღვთის ნება, რომლისმამებრ უნდა მოსულიყო ამ სოფლად მსხელი, რათა მას ცდომილი, სულიერ სიბნელეში მყოფი, ღმერთს დამორბეული, ჭეშმარიტ ბედნიერებას მოკლებული კაცობრიობა გაეთავისუფლებინა ეშმაკისა და ბოროტების მონობისგან, აღედგინა შეწვევტილი მისი კავშირი ღმერთთანა, დაებრუნებინა მისთვის დაკარგული ნეტარება.

„აღსრულებულარს!“ — უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თვისის უმადლეს და უუსრულეს სწავლითა, უწმინდესის ცხოვრებით, სასწაულებრივ მოქმედებით, აუტანელ წვალებათა დათმენით: ჯვარცმით და სიკვდილით მთელი კაცობრიობა დააწმუნა, რომ იგი არის ღვთისაგან მოვლენილი, რომ მისი სიტყვა ჭეშმარიტებაა, ნამდვილი ღვთის სიტყვაა, და ვინც მას მიიღებს და აასრულებს, ის უეჭველად შეუერთდება ღმერთსა, რომლისადმი ადამიანის სული მოუსვენრად და შეუკავებლად ისწრაფვის და რომელიც არის ერთად ერთი წყარო ბედნიერებისა.

„აღსრულებულარს!“ — წუგდიადით მოცულმა კაცობრიობამ არ უწყოდა, თუ რა არის

ჭეშმარიტება, არ იცოდა, თუ ვინ არის ის, ვისადმიც ლტოლვილებას გრძნობს იგი თვისის ბუნების სიღრმეში, რა არსებობს და თვისებებისა ღმერთი, რას თსოულობს იგი კაცისაგან, როგორ შეიძლება მასთან დაახლოვება, რა არის თვით ადამიანი, რა შეადგენს მისს დანიშნულებას, როგორ უნდა იცხოვროს მან, რათა მოიპოვოს სულიერი კმაყოფილება და დაუსრულებელი სისარული, — და აი ვველა ამ კითხვებზე, რომლებიც აღხსნა მას არ მალუქდა თვისის გონების ძალით, და რომლებიც აღუსსნელობა მას მოსვენებას არ აძლევდა და სტანჯავდა, მაცხოვარმა მისცა მას ჯეროვანი ზასუსი და თვისით მტკიცე, მშშ შეუტანელ, ღვთაებრივ სიტყვითა გონება გაუნათლა და გული დაუშვიდა.

„აღსრულებულარს!“ — კაცს ცხოველსმყოფელის მადლის შეწვევით მიეცა საშუალება, დასთურვინოს ბოროტება თვის ბუნებაში, შემუსვროს და მოსაზოს ცოდვილნი და დამღუბელნი ჩვეულებანი, სძლიოს და განსდევნოს ბიწიერი აზრები, გრძნობები და სურვილები, გაავარჯიშოს და კაბძლიეროს თანდაუთლილნი კეთილნი მიდრეკილებანი, ჩანერგოს და განავითაროს სსივ-მფინარე სათნოებანი, აღდომინოს, კახანთლიეროს და აღაფრთოვანოს თვისი სული და ამით შეუერთდეს ღმერთსა მჭიდრო ცხოველ კავშირით და მიადწიოს ბედნიერებას.


ამნაირად აღსრულად წუგვისგან კაცის გამოსეიდვის, ცხოვრების საქმე. კაცობრიობამ ისწავლა ჭეშმარიტება, მას მიენიჭა ძალა თვის განრწწნილ ბუნების კასწორებისა, ღმერთთან დაახლოვებისა და ნეტარების მოპოვებისათ-



ვის; და უოველივე ესე იქმნა მაცხოვრის მი-
ერ. იი რა დიდი სიკეთე კვიყო ჩვენ უფალმა
იესო ქრისტემ, და ნუ თუ ჩვენ არ უნდა აღ-
ვივსოთ მადლობითა და სიუკარულით მისდაძი,
ნუ თუ ჩვენ მოვალენი არა ვართ მუდამ წარ-
მოვიდგენდეთ მის ღვთაებრივ სახეს, მისს
ღვაწლს, თავ-დადებას და სიკვდილს ჩვენთვის
და ჩვენისა ცხოვრებისათვის, და ნიშნად მსურ-
ვალე მადლობისა მისდაძი ვასიამოვნებდეთ
მას წმ. სახარებაში ცხადყოფილ მის ნების
აღსრულებითა; ჩვენის ცხოვრებით მის სწავ-
ლისაშემდეგ! სოლო ჩვენ რითი ვაძტყიცებთ,
რო მართლა კამსჭვალული ვართ უფლისა
იესო ქრისტესადაძი ნაშდვილის მადლობითა
და სიუკარულით? განა ჩვენ ვცდილობთ აღ-
ვინთოთ გულში მის მიერ ნაჩვენები უშალ-
ლესი გრძნობები, შევისისხლსორცოთ მის
მიერ ნაშამდგურენი სათხოვანი? არა და არა!
ცხოვრებას ვატარებთ ჩვენ ისე, როგორც წუ-
თიერი გულის თქმა მოითხოვს და შემთხვევა
კვიჩვენებს, და სრულიდაც არ ესვლამდგანე-
ლობთ სახარებაში დასურათხატებულ სწობა-
რივ კანონებითა. მართალია, მაცხოვრს სიტ-
ვეით მადლობას ვსწირავთ, ვაქებთ-ვადიდებთ,
აღტაცებთაშა მოვიდივართ მის უშალლეს ქადაგე-
ბისგან, მაგრამ, განა ეს საკმაოა? განა ღრმა
მადლობის გადახდა მსოლოდ სიტვეით უნდა?
ნაშდვილ მადლობის გადახდა ჩვენგან ვინმე
კეთილ-მოყვლისადაძი მდგომარეობს მასში,
რომ ჩვენ, გარდა ქების შესწმისა, ვასრულებ-
დეთ იმას. რასაც იგი თხოულობს; რაც მას

მოსწონს. სწორედ აგრედვე მაცხოვრს ჩვენ
მადლობას უნდა ვუსდიდეთ უშთავრესად, მის
ნების აღსრულებითა; სოლო მას ნებაგს, რომ
ჩვენ ვცხოვრობდეთ მის შამდგურებისაშემდეგ,
რაცა საჭიროა ჩვენისავე ბედნიერებისათვის.
მაგრამ ჩვენ ამას არ ვიქმთ, და აძიტომ ჯვა-
რის ხილვის დროს ვგრძნობთ მწუსარებასა
და სინიდისის ქენჯნას...

კატახიძე.



რა შედეგი აქვს მდგდლის გადასვლა-გადმო-
სვლას მრეველიდან მრეველსე.



ისაც თვალ-ყური უდევნებია მღვდლების
გადასვლა-გადმოსვლაზე ერთი მრეველი-
დან მეორეში, ის უსათუოდ შენიშნავდა,
თუ რა ღვთის ანაბარად რჩება მრეველი
ახალ-შოსული მღვდლის შემტკერელი.
ბვერი ქირ-ვარამი აწვება მრეველს გულ-
ში, ბვერი წყლულია მით ცხოვრებაში,
რომელიც მალამოს თხოულობს, მაგრამ სად და
ვინ არის გამკურნებელი? ის სულიერი მამა, რომ-
ლისთვის დღეს ან ხვალ უნდოდათ გადაეშალათ
ფიანდაზად თავისი ქირ-ვარამი, წყლულებანი და
მით ცოტად თუ ბვერად შემსუბუქებით, ხელიდან
გაქვათ, ვითარცა შარშანდელი თოვლი, სხვა აღ-
გილას ვადვიდა, გაქრა მითი ოცნება—ლტოლვი-
ლებანი.

ახლა რა ჰქნას: გულ-ახლილად დაუხვედს ახალს?
ეს ხომ შეუძლებელია, ამბობს და ფიქრობს თავისი
გულში მრეველი: მას არ ვიცნობთ: რა კაცია, რა
ხასიათისაა როგორი გამბანელია, რა გული შემატ-

კვიარია, ვგ ჩვენთვის უცხოა და უცხოთან ხომ საქმის დაქერა მეტად ძნელია; არა ჩვენმა წინანდელმა მამამ გვიღალატა: ხიდი ჩავიჭრა, წინ მსვლელობისაკენ ამართული სიმები გაგაწყვიტა, მადლობა უფალს ამის ღირსი ვყოფილვართ, ბედმა ეს გვარგუნა.

აი, ამისთანა დრტვინვა ჩვენში ძლიერ ხშირია, რადგანაც ამ უკანასკნელს დროში ჩვენნი სულთიერი მამები თანახმანი არიან, სადაც გინდა, იქ იყენენ ხელ-დასხმული მღვდელად მწყემსთ-მთავრისაგან, მაგრამ როცა ანაფორას ჩაიკმენ და ოლარს გადიკიდებენ, მაშინ კი, არ გაივლის ერთი ან ორი თვე და გაიმართება ერთი თავ-განწირვით ხვეწნა-მუდარება სხვა ადგილას გადასვლაზე; ხვეწნა მუდარება ვის არ აუჩვილებს გულს და არ დაიყოლიებს და ისინიც მიზანს ახწევენ.

ნეტავი ვიცოდე, რამ აიძულა ის პირველად, ან ვინ დაატანა მას ძალა, რომ რომელიც გინდა, იმ ადგილის თანახმა იყო, ახლა კი სწუწობს! მე ვფიქრობ, რომ მას სხვა რაღაცა აწუხებს და სრულიად დავიწყებული უნდა ქონდეს ის მღვდლის მოვალეობა, რომელიც ნათლად გვიჩვენა თავისი ქვეყნიური ცხოვრებით და იგავშიაც გამოგვიხატა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ: «მწყემსმა კეთილმა თავი თვისი დადვის ცხოვართათვის» (იონ. 10—11). ამისთანა მღვდელს არ უნდა ახსოვდეს არც მრევლი, არც იმისი დაყენება ქეშმარტ გზაზე და მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, ერთი სიტყვით, იმას თავისი თავის მეტი ე. ი. თავისი „მე“-ს მეტი არაფერი აინტერესებს; სამწუხაროდ, ამისთანა მღვდელი მოკლებულია იმ კეთილ მწყემსის თვისებას, რომელიც გამოხატულია მაცხოვრის იგავში: „მწყემსმა კეთილმა სულა თვისი დასდვის ცხოვართათვის“, ნაცვლად ამისა მას შეუთვისებია საქციელ—ყოფა-ქცევა არა კეთილ მწყემსისა: „ხოლო, რომელი არა არს მწყემსი, იხილოს რა მგელი მომავალი, დაუტევნეს ცხოვარნი და ივლიტინ, და მგელმან წარიტაცის იგინი და განაბნინის ცხოვარნი“ (10—12) ამ გვარი მწყემსი არის დღიური მოქირავე და არა ზეგარდამო მოწოდებით დაყენებული.

როგორც ხალხის დრტვინიდანა სჩანს და რამდენათაც ყველა ჩვენთაგანი ამჩნევს, ბევრი ცუდი შედეგი ყველა მღვდლების ემიგრაციისა ე. ი. გადასვლა-გადმოსვლისა.

როგორ ფიქრობთ, მკითხველო! ვის უფრო ადრე ვანდობთ ჩვენ საიდუმლოებებს? ნაცნობ ვისმე თუ უცნობს? ვინ უფრო კარავდა შენიშნავს ჩვენი ნაკლულეფანებებს ნაცნობი თუ უცნობი? რა თქმა უნდა, ყოველთვის საიდუმლოებებს ნაცნობს ანდობს ადამიანი, ნაცნობი უკეთ ხედავს ჩვენში ყველაფერს და აი ამ უკანასკნელს ყოველთვის შეუძლია შესაფერი წაშალი მოგაწაოდოს ჩვენ.

ყოველ შემთხვევაში იმ მღვდელს, რომელიც ერთ ადგილზე მსახურებს და გადასვლ-გადმოსვლაზე აღარ უფიქრნია, უფრო მეტი სამსახური გაუწევია და კიდევაც უწყვეტს მრევლს, ვინემ იმას, რომელიც ყოველ წუთში იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მოახერხოს გადასვლა უკეთეს ადგილზე: უფრო თვალსაჩინ, მახლობელ, მოსავლიან ანუ სამშობლო ადგილში. ამისთანა პირს ის უფრო აინტერესებს, თუ რა სვას, რა ქამოს, როგორ თბილად და კოხტად ჩაიცვას, ერთი სიტყვით, როგორ გამდიდრდეს და გაიუმჯობესოს თავისი მატერიალური ცხოვრება და სრულიად ავიწყდება ზემო მოყვანილი ცხოველი სიტყვები მაცხოვრისა; აი, სწორედ თუ გინდათ თავ-განწირული მწყემსი!


დაწვრილებით რომ გამოვლდგე, პატრიცემული მკითხველო, აღნიშნულ მოვლენის ცუდი შედეგის აღწერას, ძლიერ შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ შევდეგს გკითხავთ: ბატონებო! რა მდგომარეობაში უნდა იყოს ან სკოლა, ან აღსარება, რომელსაც ჩვენი საზოგადოება სხვა საიდუმლოებზე შედარებით პირველ ადგილს უთმობს, ღიდის მოწიწებით ეპყრობა და რომლის შემწეობით ბევრი სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობას და ჩვეულებას ხშირად ეღება ბოლო? რა თქმა უნდა, ყოველივე მკითხველთაგანი ჩემზე უკეთეს პასუხს მისცემს ამ კითხვებზე, ამიტომ ეს მკითხველთათვის მიმინდვია.

ვინც ასე გადასვლაზე ფიქრობს, ის, რასაკვირველია, ღიდად არაფერს ზრუნავს მრევლზე და გასაკიცხიც არ არის: რად აიტკივოს, თავი, თუ კი მოკლდ დროში მოვლის მას უფრო თბილი ადგილი.

ღროა, რომ თვით მღვდლებმაც შენიშნონ ის ცუდი შედეგი თავიანთი საქციელისა და დაადგენ იმ გზას, რომელიც სასურველ-სანატრელია.

თვით ჩვენ უმაღლეს მთავრობასაც არა ერთ გზის მიუქცევია ყურადღება ამ საქმისათვის, რომლის მოსასპობლად უკვე ნაბრძანები აქვს: ხუთ წლამდე, დღიდან განწყებისა, რომელიმე ადგილას მღვდლად, უსათუოდ უნდა განვლონ ერთ ადგილას. იმედია, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქუევს ამ არა სასურველ მოვლენას და უმაღლესი მთავრობისაგან ნაბრძანებს სისრულეში მოიყვანენ ასარგებლოდ ჩვენდა სამწყსოისა.

ვიხმე მრეკლთაგანა



როდის შესრულდება ასი წელიწადი ქართლ-კახეთის შეერთებისა რუსეთთან

ამ კითხვის შესახებ შემდეგი წერილია დაბეჭდილი გაზეთ რუსულ უწყებაში: ერთნი დასაწყისად სთვლიან რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის მანიფესტს, 1801 წლის 18 იანვარს გამოცემულს, მეორენი—ალექსანდრე I-ის მანიფესტს, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემულს და, დასასრულ, მესამენი, 1800 წლის 28 დეკემბერს, იმ დღეს, რა დღესაც გარდაიცვალა უკანასკნელი გვირგვინისმნი მეფე საქართველოსი გიორგი მე-XII-ო. აი რასა სწერს ბ-ნი ა. ხახანაშვილი:

„1783 წლის ხელ-შეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქნა ეკატერინე მე-II-სა და საქართველოს მეფის ერეკლე მეორეს შორის, საქართველომ განაცხადა თავი თვისი რუსეთის უზენაეს მფარველობასა ქვეშე მყოფად და მისგან დამოკიდებულ სამეფოდ შეიქმნა. საქართველის მეფეებს, ტახტზედ ასვლის დროს, დამტკიცება უნდა გამოეთხოვათ რუსეთის იმპერატორისაგან. ერეკლე მე-II-ის გარდაცვალების შემდეგ (1799 წ.), პავლე I-მა საქართველოს მეფედ დამტკიცა მისი ძე გიორგი მე-XII, ხოლო ტახტის მემკვიდრედ—გიორგის უფროსი ძე დავითი, რომელიც რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა. ბედმა ბაგრატიდების შთამომავ-

ალთაგან უკანასკნელი გვირგვინისანი მემფობა საქართველოში გიორგი მე-XII-ს არგუნა. როდერიცდაც იგი გარდაიცვალა (1800 წ. 28 დეკემბერს), მისი ძე დავითი არ იქნა დანიშნული საქართველოს მმართველად მეფის სახელწოდებით, როგორც განზრახული იყო მეფე გიორგისა და იმპერატორ პავლე I-ის მოლაპარაკებით. გენერალმა ლახარევმა საქართველოში დროებითი მმართველობა დააწესა, რომელსაც ბოლო მოუღო პავლე I-ის მანიფესტმა, 1800 წლის 22 დეკემბერს ხელ-მოწერილმა (ე. ი. მეფე გიორგის გარდაცვალებამდე), პეტერბურგში 1801 წ. 10 იანვარს გამოქვეყნებულმა და ტფილისში 1801 წ. 16 თებერვალს გამოცხადებულმა. ამ გვარად, ფაქტიურად საქართველოს მეფობის დამოუკიდებელი არსებობა გიორგი მე-XII-ის გარდაცვალების დღეს მოისპო. პავლე I-ის მანიფესტმა განსაზღვრა მხოლოდ საქართველოს არსებითან შეერთების იურიდიული პირობები. ამ მანიფესტში ნათქვამია, რომ მეფე გიორგიმ, სიკვდილის ქაშხ, სთხოვა ხელმწიფეს მიეღო მისი სამეფო დამოუკიდებელ ქვეშევრდომად, „და ამითი ვაცხადებთ ჩვენის იმპერატორებრივის სიტყვით, რომ საქართველოს სამეფოს სამუდამო ყმისად ჩვენს მპყრობელობასა ქვეშე შეერთების შედეგ, საქართველოს სამეფოს და მის ქვემდებარე ოლქების ჩვენთა საყვარელ-ერთგულ ახალ ქვეშევრდომთ არამც თუ მიენიქებათ და სავისებით ექმნებათ დატული ყოველივე უფლება-უპირობისობა და საკუთარება, კანონიერად თითოეულის კუთვნილი, არამედ ამინერიდგან ზემოხსენებულ ოლქების მცხოვრებთა ყოველს წოდებას შეეძლება სარგებლობა იმ უფლებანიითა, თავისუფლებითა და უპირობისობანიით, რომლითაც სტკებთან ჩვენთა საფარველსა ქვეშე რუსეთის უძველესნი ქვეშ ერდომნი, ჩვენთა მამა-პაპათა და ჩვენის წყალობით“.

ეს მანიფესტი საქართველოში გამოცხადდა, „ხოლო ხალხის მიერ ფიცის მიღება შეჩერებულ იქნა, ვიდრე დებუტათა (ქართველთა) ფიცსა სდგეს პეტერბურგში“- ეს ფიცის დადება პავლე I-ის ერთგულებათზედ არ შესდგა, რადგან იგი გარდაიცვალა (1801 წ. 12 მარტს) ისე, რომ ვერ გარდაწყვიტა, როგორი მართვა-გამგეობა შემოეღო საქართველოში. მართვა-გამგეობის წესის საბოლოოდ დადგენა ეკუთვნის ალექსანდრე I-ს (1801 წ. 12 სექტემ-

ბერს), რომელმაც საქართველოს მთავარ-მართებელად გენერალი კიუტინგი დაწინაა, იმის ნაცვლად, რომ „ნამესტნიკად“ ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილითაგანი დაენიშნა მეფის სახელ-წოდებით, როგორც ამას სხოვდენდნ საქართველოს დეპუტატები. ამ მეფის სახელმწიფო უნდა განეგო რუსეთის ერთის წარჩინებულის თანამონაწილეობით, რომელსაც მეფის შემდეგ მეორე ადგილი უნდა სჭეროდა.

ამ გეგარად გიორგი მეფის სიკვდილითან ერთად მოისპო ფაქტიურად საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, რადგან დავითი მმართველის სახელს ატარებდა და არა მეფისას; იმპერატორის პაულებს მანიფესტი აღნიშნავს სურვილს გიორგი მეფისას, რომელიც ეძიებდა მუდმივს მფარველობას რუსეთისას, ზოგიერთის ცვლილებანიტ ხელ-შეკრულობის პირობაზე, ხოლო ისე კი, რომ ნათლად ყოვლიყო აღნიშნული აზრი ქართველთა-გაერთოვლებისა რუსეთის უძველესს ქვეშევრდომებთან“; მანიფესტმა იმპერატორის აღქმანდრესამ, რომელიც ხანგრძლივ ყოყმანობდა და არა კისრულობდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას „საერთაშორისო უკლებათა ხელ-შეუწყებლობის“ პატივის-ცემისა გამო და რომელმაც ბოლოს აღიარა აუკლებლობა საქართველოს სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებისა, — შემქმნა აღმინსტრაცია შეერთებულს ქვეყანაში, საკმაოდ შესცვალა რა განზრახულება მეფის გიორგი მე-XII-საცა და იმპერატორის პაულებს I-საც. თუ ამ შემოხსენბოზულს რიკხეებს შეუდარებთ და აღარ გამოვეცილებით იმ საბუთის ქაღალდების დაწერილებითს განხილვას, რომელნიც საქართველოს სამეფოს მრავალ საუკუნოვან არსებობის უკანასკნელს დღეებს შეეხება, ჩემის აზრით, უფრო საუფქვლიანი იქნება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღედ უკანასკნელის მეფის გიორგი მე-XII-ს სიკვდილის დრო ჩავთვალოთ, ე. ი. 1800 წ. 28 დეკემბერი, რადგან ამ დღიდგან დაწესებულ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში ჯერ დროცხითი და შემდეგ მკვიდრი მმართველობა.

ჩინელეები

გაგრძელება *)

ჩვენ აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ჩინელების ზოგიერთ უმთავრეს თვისებებზე. ჩინელი მეტად დიდი აზრისაა თავის თავზე; ჩინელი დარწმუნებულია, რომ იგი წინა დგას ყველა ხალხზე ჩინელს მოსწონს ყოველივე თავისი და ვერ წარმოიდგენს, თუ ქვეყანაზე მოიბოგება ისეთი რამ, რომელიც უკეთესი იქნება ჩინურზე, ჩინელს თავისი თავი სრულ კაცად მიაჩნია და ამიტომ იგი წინააღმდეგია ყოველივე განათლებისა, რომელსაც მოთავშობს ვიღაც ზღღის ეშმაკო, როგორც ეძახიან ჩინეთში ევროპელებს; ევროპელს ჩინელი უტკუარის და ცინვით, ცნობის მოყვარობით და თან სიბრაღელებით, როგორც ჩვენ ვუტკუარით ხოლმე ხუმარებს, ჯამბაზებს და თვალთმაქცთ; გვიკვირს მათი სიმაღლე, მაგრამ სრულდებით არ ვფიქრობთ, რომ ამ თვალთმაქცთ რამეში მიგბძიათ. ჩინელი დარწმუნებულია, რომ ევროპელი პრაქტიკულად მეტად გამჭობია და მისთან მათ აქვსთ ტენიკური ცოდნაც, მზად არის მათი დაბნარებით უფრო კარგად გააწყოს ჯარი და ფლოტი, ააშენოს თოფხანები და ქაბნები, მაგრამ ჩინელს ვერას გზით ვერ არწმუნებ, რომ სახელმწიფო წეს-რიგი ევროპაში უკეთესი იყოს მათზე, მართლ-მსაჯულება უფრო წესიერად და ჰუმანიტურად იყოს დაყენებული, რომ ფილოსოფია და სარწმუნოება უფრო მტკიცედ და ღრმად ფეხვ გადგებულია ევროპაში. ჩინელი ძველი წეს-რიგის მოყვარულია, მის მოსწონს ყოველივე ძველი და ახალი სძახს, ჩინელი ისე ერიდება ყოველივე ცვლილებას, როგორც რაიმე უმდებრებას, არ უნდა მოსცილდეს თავის ძველ წეს-რიგებს, რომელიც აწინდელი ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარია და უკვე მოუქმებია თავისი დრო.

ჩინელი არის მტკის-მტეტი მომთმენი და მცირეხედაც კმაყოფილია. ჩინელების უმეტესი ნაწილი ძლიერ ღარიბი და დიდ გაჭირებებაშია, მაგრამ ჩინელი ყოველივე სიღარიბეს და გაჭირებებას მოთმინებით იტანს და თან მას არც მომთმენი აწინებს;



*) იხ. „მწიგნოსი“ № 17 1900 წ.

როცა სამშობლოში ღარიბი ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება, იგი არ მართავს არც კრებებს და არც რაიმე უწყსოებას ახდენს, როგორც ამას ხშირად ჩადის ევროპაში მუშა ხალხი; ამისთანა დროს ჩინელი მილიან სხვა ადგილას ანუ სამზღვარ გარეთ, სადაც დიდ მოქიშვობას უწევენ კლდელობით მკვიდრთ, თუმც ისეთი ხანგრძლივი შრომა არ შეუძლიათ, როგორც სხვა თემის ხალხი, მაგრამ მზად არიან სულ მცირე საფასით იმუშაონ და ძლიერ მცირე საზრდოთი კმაყოფილდებიან. სადაც უნდა მოხედეს ჩინელი, ის არას დროს არ დაუახლოვდება იმ ხალხს, რომელშიაც ცხოვრობს, ყველგან თავის ბოსლებს მზავებს სახლებს იკეთებს, რომლებშიაც დიდი სიუწმინდურება, თავის სანოვაგის პატარა დუქნებს იკეთებს და თავშესაფარებს ოპიუმის მოსაწევად, ყველგან თავის ნაციონალურ ტანისამოს იცმენ და თავიანთ ჩვეულებას არ იცვლიან; სადაც უნდა იყოს ჩინელი, იგი მაინც სამშობლოსკენ იწვევა, როცა ჩინელი სადმე სამუშაოდ მიდის, ცოლმგელს სახლში ტოვებს და როცა ფულს იშოვის, ისევ უკან ბრუნდება, რომ იქ განისვენოს, სადაც მისი წინაპარი განისვენებენ. თუ ჩინელი სადმე სხვა ქვეყანაში გადაიხვევა, გადაცვალებულის გვამი მისი ნათესავების ანუ საქველმოქმედო საზოგადოებათა ხარჯით გადმოაქვთ ჩინეთში.

მესამე თვისება ჩინელისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მშვიდობის მოყვარეა; ძვირად მოხდება, რომ ჩინელი ვისმეს წაეჩხუბოს; წაჩხუბების დროს ძლიერ ერიდება ცემა-ტყეპას, მხოლოდ მოპირდაპირეს აშინებს, საშინლად სწყევლის და აგინებს და ყოველივე ამას ჩადის შორიდან; რაც უნდა გამწვადვდეს ჩხუბი, სისხლის ღვრა ძვირად მოხდება, მხოლოდ მოჩხუბარნი წააღვლებენ ერთმანერთს ხელს ნაწნავებში და ქირჩნიან, ზოგ შემთხვევაში შეიძლება სიღებეც უთავაზონ ერთმანერთს.

ცხადია, რომ ასეთ მშვიდობის მოყვარულ ხალხში ადგილი არ ექნება დუელს, რომლითაც ზოგიერთებს სურთ აღადგინონ თავისი შემბლალი პატიოსნება. თუ მაინც და მაინც ჩინელს უნდა სამაგიერო გადაუხადოს თავის მოწინააღმდეგეს, იგი მზად არის თავისი სიცოცხლე გასწიროს მოპირდაპირის სახლის კარებში, რადგან იცის, რომ თავისი სიკვდილით იგი დიდ ხარჯში ჩაავდებს თავის მტერს და თუ ფულები არა აქვს, მაშინ მას

ჩამენ საპატიმროში, ვინაიდან იმ სახლის პატრონს, სადაც კაცმა თავი მოიკლა, ეჭვი ედება კაცის სიკვდილში.

ჩინელს არ უყვარს ისეთი თავ-გასართობები, როგორებიც არიან ხარების ჭიდაობა, ნადირობა, დოღები და ს.. ჩინელი თამაშობს კალიმობის, ბანქოს, შახმატს და სხვა უზარალო ბავშური სათამაშოებით ერთობიან, მომეტებულად უყვარსთ ჭიდაობა და სანიძლაოში, თუ რომელი მოქიდავე გამარჯვებს, ჩინელი მთელს საცხოვრებელს აგებს ან იგებს.

ადვილი მისახლამია, თუ ჩინელთა ჯარი რატომ არის ასე სუსტი და მხდალი; რადგან ჩინელი მშვიდობის მოყვარულნი არიან და მათში არ არსებობს სამხედრო ბეგარა, ჯარის კაცად შედის ზარმაცი და უვარგისი ხალხი, რომელიც შრომას უსაქმობას არჩევს და სრული კმაყოფილია იმ მცირე ჯამაგირისა. რომელიც ეძლევა ჩინეთში ჯარის კაცს; შესანიშნავია ჩინური ანდაზა: «კარგი რკინისაგან არ აკეთებენ ლურსმანს, კარგი ხალხიდან არ კრებენ ჯარის კაცთაო». ჩინელ ჯარის კაცს სამხედრო სამსახურისადმი არ იზიდავს სიყვარული, მასთან იქაურ ჯარში არ არსებობს სამხედრო სამსახურის სასტიკი წეს-რიგი; ამიტომაც არის, რომ ჩინელი ჯარის კაცი არ უფრთხილდება თავის იარაღს, რომელიც სრულიად დაქანგულია, წამალს და პატრონებს ბაზარში ჰყიდის, რომ ნაშოენი ფულით ოპიუმი იყიდოს; იგი იმიტომ კი არ მიდის ჩხუბში, რომ სისხლი დაღვაროს, არამედ იმიტომ, რომ მშვიდობიანი მცხოვრებლები გაძარცვოს, მტერს ადვილად უჩვენებს გზას, და მხოლოდ მაშინ იბრძვის, თუ დარწმუნებულია, რომ მას ტყვეობის დროს არ დაზოგვენ და ცუდად მოეპყრობიან.



წერილი ჩეხოსლოვაკიაზე.

შურნალ-გაზეთებისადმი.

(ჩეხეთის და ტრანსკარპათების ამოები)

მე ვარ წარმოვიდგენდი, თუ დედეს მოიპოვებოდა ვინმე ერის კაცთაგანი, რომელიც უკრადედებს მიჰქცევდა იმისთანა საგანს, რომელიც შენგად მე ესლა გწერთ ორიოდე სიტყვას. ეს ჩემი წერაფერი გამოიწვია ბ. ქ. გელოვანის სტატიაში, რომელიც თქვენ პატრივტემულ გაზეთში იყო დასტამებული ამ სათაურით: „სასწაულები ჩვენს დროშიდაც ხდება“, ეს არის დაწერილი ამა წლის «მწიქასის» № 15. ეს წერილი მით უფრო საინტერესოა, რომ ეს აბავი გუშინ და დედეს არ მოხდარა, ეს უოფილა განსვენებულის იმერ. ეპ. გაბრიელის დროს.

ამის მსგავსი ამბავი მოხდა წელს, დღით დვთის-მშობლობას (სეკდ. 8).

სოფელი თავისა არის სკანდის მრევლზედ მახლობლად, ადამისავლეთის მხრით. გლეხმა, სოფლისს თავასისამ ე. ქვ. ნამუდადვეის მ საათზედ ინება სიმინდის სატყბათ ყანაში წასვლა, ხარები დააბა, ჩაღა ჩაუჭრა, თითონ კი მემოლობა დაიწყო, ამის მტყედა სკანდელმა გლეხმა გ. გ. ეიეც წაბრძანდა, ამან ქვეყით დაიწყო სიმინდის ტყბა და თავსეღმა ზევით. არ გასულა ნახევარი საათი, დაკოტრიდაცა ცალი ხარი (დირებული 50—60 მანეთად) და ძლივ-ძლივობით მიასწრეს დანა; არ გამოსულა 15 წამი, საიღამ იყო და რა შემთხვევამ გადმოაკორა—მოგორავს ქვა. აქეთ ეცა გლეხი გ. ფ., იქით ეცა, იქნებ როგორმე ავცდყო, მაგრამ ცდამ ამოთ ჩაუარა საწყალს, დეტუკა ქვა ზედ შუა წვივზედ და ისე დაუშხვრია წვივი, რომ ექიმმა ძლივს მოუხარა ძვლებს თავი. გადარჩება იგი თუ არა, დემრთმა უწყის. უქმის ტყბას და მცნების ადუსრულებლობას მოყვა ამისთანა უბედურება. მე ვკონებ ჭკუის სასწავლად კმარა. არ ერჩია უბედურს, რომ მეორე დღე ემუშავნა და ის დღე კი წმინდათ შეენახა?

მღ. სწ. ჟულეა

აჯანუბა საცრად ძლიერდება სამხრეთ ჩინეთში. დეპუტეი თითქმის არაფერს იუწყებიან ამის შესახებ, სამკავროდ გაზეთების კორესპონდენტები ბეგრს რსმეს ცამოგვეტყენ. ეს აჯანუბა ძალანს ჭკავს ტრანსკარპათის აჯანუბას (1856 წელს მოხდა). მესამოხეთ აზრად მხოლოდ მანჯურების დინასტიისა და ესლანდელის მანდარინების გადაუგება აქეთ. ისინი არც უცხო-ქვეყნულ ერჩანს რსმეს და არც შვილობიან ჩინელთა. აჯანუბა ეგრედ წოდებულმა „სამთა კავშირმა“ გამოიწვია. ჭმოთავებებს ორნი კან იუკვი და სუნაძენი. ქალაქებსა და სოფლებში მთავურებმა ამხარის განცხადებანი გააკრეს: «ჩვენ მანჯურების წინააღმდეგ ვმოქმედებთ. ჩვენი მუხანი მხოლოდ დაინტერესის დინასტიის გადაუგებას. სხვა ერნი არა გეძულან. თუმცა ამავე დროს ნების არაფის მივცემთ ჩინელთა უფლებას გათავდვის და ჩვენი მწა ადგილის დასაკურთხების. მცხოვრებთ ნუ ეშინათ: არავის არაფერ ფნებას არ მივაკურებთ». ვერსად ვერც ერთ შტატებში იმპერატორის ჯარმა ვერ დაამარცხა მესამოხეთი. სდაც კი ბრძოლა მოუხდათ, ვეგლან ეს ჯარი იქმნა უმძნეული. ამ აჯანუბის გამო ჩინეთის იმპერატორი, იმპერატრიცა და მათი მახლობლები დიდ ცაჭირებებში ჩაცვიდნენ. ამოხებამ შანსის ზრფინცამდე მისწია და ესლადარ იტან ჩინეთის ბრძანებულთ, საით წავიდნენ და რით უშველონ თავს; ჰეკინში ეგრობიელთა შიშით ვერ დაბრუნებულან თავს; სხვაგანაც დასამალი ადგილი თითქმის აღარსდა აქეთ. მეორეს მხრით, ამ აჯანუბამ ეგრობიელნიც დააოქმრა. როგორც ვუწვით, მკავშირეთა ჯარმა ვეგლან დაამარცხა ჩინელები. ამ ჯარში მხოლოდ 35—40 ათასი კაცი იყო, მაგრამ მანინდ ძლევა-მოსილი შევიდა ჰეკინში. ვეგლან უგვირდა და ამობდა, მეტად სუსტი უოფილა ეს უზარ-მუხარის სხელმწიფოთ. მაგრამ ეხლას ამ აჯანუბამ თვალა აუხიდა ეგრობას. დაწყებდნენ, რომ ეგრობიელთა წინააღმდეგ მხოლოდ მანჯურული მოქმედებდნენ, მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილი დიდის ჩინეთისა. ესლას აშკარად ჰქვადენ, ჩინეთის დამარცხება ეგრე ადგილი არ იქმნებოდა, მთელს სხელმწიფოს რომ მონაწილეობას მიეღო და სამშობლოს დაცვა უცხო ქვეყნელთაგან ვეგლან ეტვირთა.





მეტად სასურდადღო ამასგა დამოკვეტემს ფრანგული გაზეთი „Matin“-ი. ამ გაზეთის რედაქტორს ღაზარაჯი ჭქინია ერთ ნეუმენტან, ვგარად ფრანკთან, რომელსაც ოც წელიწადზედ მეტი უნცოფრანია სამხრეთ აფრიკაში და მხოლოდ ესღა დაბრუნებულა იქიდან. ფრანგი ამტკიცებს, რომ ინგლისს სამხრეთ აფრიკაში 270,000 ჯარის კაცი კი არა ჭქოლია, როგორც ოფიციალურად აღსაღებდა მთავრობა, არამედ 450,000 ჯარის-კაცზედ მეტი. მთელი ტრანსვაალი მოფენილია თურმე ინგლისის ჯარით. მაგრამ ამისდა მიუხედავად მეტად უნდაურა მოფელენა ხეობა: ეოგელთვის, როდესაც სამი ოთხი ათასის კაცისაგან შეიძღვარა ინგლისის რაზმი გააკებს ბურების მოახლოებებს, ეს რაზმი შამისაგან გარბის და იძლევა. ძნელი, მეტად ძნელი წარმოსადგენია თურმე ინგლისელების შიში და კანკალი მარტო ერთის დევეტის სახელის გაკონუბაზედ. ფრანკის სიტყვით, მთელ თავისს ჯარს ინგლისელები მშვიდობიან მცხოვრებზედ იურან. ჯარის-კაცი ტექნეს უკადებენ და ანადგურებენ ბურების ფერმებს, სსარცვაგენ მოქალაქეებს, — ერთის სიტყვით, ამ საქმეებში ინგლისელნი სავეირუფელ სიმამაცეს და ვაუკაცობას იჩენენ თურმე. ინგლისელები სსტაქად ქმნევიან მშვიდობიან მცხოვრებთა — კაცებს, ქალებს და ბავშვებს, რათა ამ მშვიდობიან მცხოვრებთა შემოარნ ნათესავთ აზრად დაურრევიონ. საცარი შედეგა მოჭევა თურმე ინგლისელთა სსეთ საქციელს: ბურებს ისე შესსულდათ ინგლისი და ინგლისელნი, რომ ამ ორის ხალხის შერიკება რადისმე უფლად შეუძლებელია. აქამდე ბურები კადემ კარტად ქმნე-დნენ ინგლისელებს, მაგრამ ესღა სიკვდილს ამჯობინებენ თურმე იმათან დღაღაზარაკებს.

სულიერო წოდების კაცთა შვილნი, ხოლო შემდეგ, თუ თავისუფალი ადგილი დარჩა, დაუთმონ სხვა წოდების კაცთა შვილთ, ხოლო სასწავლებელში შემსვლელთა საერთო რიცხვის 10% არა მეტს. ამ 10% — შიაკ უპირატესობა იმ გლეხთა შვილებს უნდა მიეცეთ, რომელთაც საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებში უსწავლიათ წარმატებით და კარგის ყოფა-ქცივისანი ყოფილიან.

* *

„ნოვოე ობოზრენიე“-ს ატყობინებენ, რომ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა შესამჩნევად შეუმცირებია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. სამის საფილოქსერო კომიტეტის ხარჯად — კავკასიისა, ოდესისა და ყირიმისა — სამინისტროს გადაუღვია 100 ათასი მანეთი, წარსულ წელს კი მხოლოდ კავკასიის კომიტეტს მიეცა 400,000 მანეთი.

* *

შვიდი-რვა წლის წინეთ ჩვენ აღვძარით კითხვა იმის შესახებ, რომ ხატების ყიღვა არ წარმოებულიყო იმ წესით, როგორც საზოგადოდ დღეს სუფევს. ვისთვის არ არის საწყენი, როცა ხატები ერთად კალოშებთან და სხვა უბრალო ნივთებთან არიან დაწყობილნი და ვაჭრობენ ამ ნივთებით ისე, როგორც სხვა ნივთებით. დღეს, სასიხარულოდ, ჩვენმა სასულიერო მთავრობამ, უწმ. სინოდმა მოახდინა განკარგულება, რომ ხატებით ვაჭრობას ყურადღება მიექცეს და ნება არ მიეცეს უწმიდურ და შეუფერებელ ადგილას ვაჭრობდნენ ხოლმე. ამის გამო სინოდი ურჩევს, რომ ამიერიდგან ხატები სანთლის მაღაზიებთანა და საწყობებთან, სამრევლო ეკლესიებთანა და სხ. იყიდებოდეს, თუ რომ განსაკუთრებული დამაბრკოლებელი მიზეზები არ აღმოჩნდება. კერძო კაცების ხელში ვაჭრობას კი დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიტყულონი.

* *

გამოვიდა და მივიღეთ „ჯეჯილის“ მეცხრე ნომერი შემდეგის შინაარსისა: 1) „ტოროლა ჩიტია“ (ლექსი) ვასიკო გუბელისა; 2) „ჩემი კაქკა-ქი“ (ამბავი) ს. ბასიშვილისა; 3) „ჩინური საათი“ (ფრანგულით) პეტრე მირიანიშვილისა; 4) „პა-

ახალი ამბები და შენიშვნები.

უწმ. სინოდმა განმარტა, რა წესით უნდა იქმნენ მიღებულნი სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მოსწავლეებად არა სასულიერო წოდების კაცთა შვილნი, რომელთა რიცხვი ეხლა 23% — მდე არის. სენატმა მისწერა ამ სასწავლებლებს, რომ ყოველ წელიწადს გამოკლით სასულიერო სასწავლებელში მიიღონ ხოლმე ჯერ სა-

ტარა ექიმი“ (გადმოღებული) კახ-მერლისა; 5) „სულელი და კვეანი“ (არაკი) ი. ა.—სა; 6) „ვანო და გულ-ყვითელა“ (თარგმანი(სონა ციცი-შვილისა; 7) „გლეხი და გველი“ (იგავი) გ. ახალ-ციხელისა; 8) „ივანე ნათლის მცემელი და მისი თავის მოკვეთა“. გ. წყალტუბელისა; 9) „ძველი დედა“ (ლექსი) დ. თომაშვილისა; 10) „გულცივი ადამიანი“ (მოპასანიდან) მ. კლიმიაშვილისა; 11) „სურამის ციხე“ (გადმოკეთებული) გ. წყალტუ-ბელისა; 12) „პატარა მკითხველების წერილები“; 13) წერილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცა-ნები, ჩქარა გამოსათქმელი, ზმნა, ანაგრამა, უჯ-რების გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.

* *

ს. კორცხელიდან (სენაკის მაზრაშია) ჩვენ გვწერენ შემდეგს: „სოფ. კორცხელის ორ-შტატიან ეკლესიის ერთ ნაწილ მრევლს, ეწრის მცხოვრებთ სასაფლაო არ ქონდათ დასამაზრზე. თა-ნახმათ თხოვნისა მათ მიიღეს ნება-რთვა აღმოე-ჩინათ დასამაზრ ადგილას სასაფლაო ადგილი და მისწერა ბლადოჩინს თოლორაიას ამ სასაფლაოს კურთხევა. აღჩეული სასაფლაო აკურთხა ბლა-დოჩინმა თოლორაიამ. კურთხევის შემდეგ გრძნო-ბით საეცე სიტყვა უთხრა მრევლს, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზეო“...

* *

ს. ახალ-დაბადან (გორის მაზრაშია) ჩვენ გვა-ტყობინებენ, რომ ბორჯომის საზოგადოებაში, სოფ. ახალ-დაბაში დაუწყიათ ახალი ქვითკირის ეკლესია, რომლის საფუძველი კიდევ უკურთხე-ბია ადგილობრივი ბლადოჩინს ია. გორგაძეს და ადგილობრივი მღვდელს მამა მ. გორგაძეს.

* *

ეკატერინოსლავი. 31 სექტემბერს, ღამით, ვა-ცარცვეს პავლოვროდსკის მაზრის ნოვოივანოვოს სასაფლო-სამაზრთველო, მოუკლავთ შვიდი კაცი: სოფლის მწერალი, სამი მისი თანაშემწე, დარჯი და გზირი თავისი ცოლით. რამდენი ფული წაი-ღეს, ჯერ არ იციან.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიან-ნობრივ სასწმუნოებასა და ეთილ-ხნეიბაზე.

საჭეროა თუ არა, რომ მღვდლისაგან ლოცვა-კუთხევა მივიღოთ?

(რუსულიდან)

მღვდელ-მთავრისა და მღვდლის ხარისხის უმ-თავრეს უპირატესობას, როგორც ვიცით, შეადგენს უფლება მათგან ლოცვა-კურთხევის გადაცემისა მორწმუნეებზე. დასაბამად, საფუძვლად და ნიმუშად ამა კურთხევისა შეიქმნა ის, რომ იესო ქრისტემ ამაღლების დროს ზეთის ხილის მთაზედ აღიბრნა ხელნი თვისნი და აკურთხა მოწაფენი თვისნი და ყველა ისინი, რომელნიც მას იქ გარს ეხევივნენ (ლუკ. 24, 50). გარდმოცემა ამობს, რომ იესო ქრისტემ იმ დროს ხელით გამოსახა ჯვარის სახე, რომელიც ხელაც სრულდება კურთხევის გადაცემის დროს. რომ კარგად შევიგნოთ სულიერი მნიშვნე-ლობა მღვდლისაგან კურთხევის მიღებისა, საჭიროა გავთვალისწინოთ ძალა იმა კურთხევისა, რომელიც მოციქულებმა ამაღლების დროს მიიღეს უფლისაგან. მოციქულებისათვის სამიზო იყო განშორება თვისის ღვთაებრივის მასწავლებლისა, რომელსაც მამასავით უყვარდა ივინი, ხოლო წინამდებარე ღვაწლი მო-ციქულებრივის სამსახურისა და მსოფლიო ქადაგება სახარებისა აღაცხებდა მათ გულს შიშითა. ეს კურ-თხევა მაცხოვრისა კი შეიქმნა მოციქულებისათვის წინდად (თავმდებათ) უფლის დიდათ სანუგეშო აღ-თქმისა: „მიიღეთ მადლი სულისა წმიდისა და იყენეთ ჩემდა მოწამე“ (საქმე მოციქ. 1, 8); „მე მხოლო ვარ თქვენთანა და ვერვინ შემძლებელ არს ვნებად თქვენდა (კონდ. დღესასწა.). ანაირათ, მაცხოვრის



კურთხევით მოკიქულებმა მიიღეს არა თუ მარტო ნიშანი უფლის მათდამი სიყვარულისა, არამედ სრული რწმენაც, რომ მათ დიდ სამსახურს სახარების ქადაგებისას მოჰყვება გამარჯვება. აი ამისთვის მოკიქულები დაბრუნდნენ ზეთის-ხილის მთილამ არა მწუხარებით განშორებისათვის საყვარელის მასწავლებლისა და უფლისა, არამედ სიხარულითა დიდითა (ლუკ. 24, 53).

უფლებმა მორწმუნეებზე ლოცვა-კურთხევის გადაცემისა არის განმასხვავებელი ღირსება მღვდელობის ხარისხისა- მაცხოვრის მგალითისამებრ წმ. მოკიქულები, როგორც პირდაპირი მიძღვნი ღვთის მადლისა, აკურთხებდნენ ხალხსა, ხოლო უფლებმა ესე მათგან, აღთქმისამებრ მაცხოვრისა, გადავიდა მათ მოადგილეებზე—მღვდელთ-მთავრებზე და მღვდლებზე. კურთხევის გადაცემის დროს მღვდელი მოუწოდებს სახელსა წმ. სამებისასა და ხმარობს ნიშანსა ჯვრისასა. ამით ის გამოიხატება, რომ მორწმუნესთან მუდამ იმყოფება მადლი ღვთისა და ძალი ჯვარისა. უფლომან, ამაღლდა რა ზეცად, არა დაუტევა ქვეყანა უნუგეშოდ: აღიბრნა რა ხელნი თვისნი ზეთის ხილის მთაზედ, რათა ეკურთხებია პირველნი თვისნი მოწაფენი, ის ეხლაც ხელითა თვისითა მღვდელ-მსახურითა აკურთხებს მორწმუნეთა ყველას და ყველგან. ამაღლდა ის, რომელი არა სადა განეშორებინ, არამედ გვის განუშორებლად და ფტყადა საყვარელთა მათ: მე მხოლო ვარ თქვენდასა და ვერვინ შემძლებელ არს ენებად თქვენდა* (კონდაკი დღესასწა.).

ცხადია, რომ კურთხევა მღვდლისაგან, როგორც დადგენილება ღვთაებრივი, ჩვენ ქრისტიანეთათვის უნდა იყოს წმიდა და ძვირფასი. მღვდლის ლოცვა-კურთხევა თუ იგი მიიღება სარწმუნოებით, მოუტანს კაცს სულიერ სარგებლობას და დაიფარავს მას განსაცდელთაგან. როგორც ღვდისაგან დალოცვის ჩველს სძინავს წყნარად, ისე სული მორწმუნეთა მშვიდდება, როდესაც მხნევედება ეკლესიური კურთხევით უფლის ტრაპეზის მოსამსახურეთა საშუალებით. ამ კურთხევას წმ. იოანე ოქროპირი უწოდებს სულიერ იარაღს, რომელიც უძღვევლიად და ყოველის მხრით უშოშრათ ხდის ქრისტიან კაცს. მართლაც, სასულიერო პირთაგან კურთხევა არა თუ მარტო დიდსა და საშიშროებასთან დაკავშირებულ საქმეში ხელს უწყობდა გამარ-

ჯვებას, ხშირათ ცხოვრების ჩვეულებრივ მოქმედებაშიაც იჩენდა თავის დიდ ძალას.

წმ. ეპიფანე კიპრელს დავა ჰქონდა ერთ ურწმუნო ფილოსოფოსთან. ეპიფანემ შენიშნა, რომ ვაეიშვილი ამა ფილოსოფოსისა ცალი თვალით ვერ ხედავს; მან სამგზის გადასახა ჯვარი ყმაწვილს იმ თვალზე და ყმაწვილმა ისე დაიწყო ხედვა იმ თვალით, როგორც მეორე სალი თვალით. ღირსი ეფენიკტეს მონასტერში ერთი სახლის შენგების დროს უნდა აეტანათ ვებერთელა ქვა. მრავალმა მუშებმა ვერ შესძლეს ამ ქვის ადგილიდამ დაძვრა. მაშინ წმ. ბენედიკტემ ილოცა, აკურთხა ქვა და ის სრულიად უჯაფურად ატანილ იქმნა თავის ადგილზე (გრიგორმეტყ. წიგ. 2, თავი 9).

ხედავთ, რა მნიშვნელოვანი და ძვირფასი ყოფილა ჩვენ ქრისტიანეთათვის მღვდლისაგან კურთხევა და როგორის სასიკეთო უნდა ვიღებდეთ მას! როგორც დიდი და წმიდაა სახელი ღვთისა, როგორც დიდია ძალი ჯვარისა,—ისე დიდი და წმიდაა ძალი ღვთის მსახურთაგან კურთხევისა. მაგრამ შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ესეთი ძალა ეკუთვნის მხოლოდ წმიდანებს და ჩვეულებრივი კურთხევა მღვდლისაგან კი ასეთ ძალას ვერ იჩენსო. მართლაც, ჩვენ მოკიქულებზე გაცილებით მეტი უფლება გვაქვს საერო პირთა ვუთხრათ ჩვენ თავზე ის, რაც მათ (მოკიქულებმა) იღვსემ უთხრეს ქალაქლისტრაში მცხოვრებთა: *ჩვენცა კაცნივე ვართ, მსგავსი თქვენნი (საქ. მოკიქ. 14, 14). ამიტომ ყოველი თავმდაბალი მღვდელი ლოცვილობს, რომ უფალმა განწმიდოს მისი უღირსოება. მაგრამ არც იქნეულ მღვდელ-მსახურთა კურთხევის ძალაში უნდა ვეჭობდეთ, რომ „სასწაული მორწმუნეთა შეუდგეს“ (მარკ. 16, 17). რა სარგებლობას უნდა მოელოდნენ ისინი, რომლებიც მღვდლისაგან იღებენ კურთხევის მხოლოდ თავაზიანობისათვის, მხოლოდ მისთვის, რომ მოძღვარის შეხვედრის დროს პატივი სცენ და არა იმიტომ, რომ ეს კურთხევა არის იარაღი ღვთის მადლისა? მღვდელი, როგორც უნდა იყოს იგი, მაინც ასრულებს ღვთის საქმეს, რაისათვისაც იგი არის უმაღლესად დადგენილი. დიდ არს სახელი ღვთისა, ხოლო ხელი გახრწნადი კი არაფერი. მართლა, საქირთა ხელი მაკურთხეველია იყოს სუფთა, რომ აცილდეს განკიცხვა სიწმიდის უღირსად მსახურებისათვის. მაგრამ განა არ უნდა განიწმიდოს

თავი თავისი იმანაც, რომელიც ეძიებს მიიღოს სულიერი მადლი? თუ წმინდა წყალს ჩაასხავთ ვასფორილს ქურქელში, ის დაჰკარგავს თავის სიტკბოს და სიწმინდეს. ამნაირათვე წყალი მადლისა ფარავს თავის განმწმედლობისა და განმაცხოველებელს ძალას, თუ კი მიიღება უწმიდურისა სულისაგან.

მაგრამ სასტიკი განკიცხვის ღირსნი არიან ისინი, რომლებიც მღვდლის კურთხევას სთვლიან მცირემნიშვნელოვან საქმედ, უბრალოთ, ერთდებიან მას და ცდილობენ კურთხევის მაგიერ ჩამოართვან ხელი თავის სულიერ მამას, და ირცხვიან მიიღონ კურთხევა. განა რიგია, რომ ქრისტიან კაცს რცხვენოდეს თვით ღვთისა, რომლის სახელთაც ეკკლესიის მოსამსახურე მას აკურთხევს! მაცხოვარმა ბრძანა: „რომელმან ირცხვიროს ჩემთვის და სიტყვათა ჩემთათვის, მეცა ვირცხვირო მისთვის წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“.

მღ. სიმონ ჭუმბურიძე

რედაქციის პასუხი.

მღ. ე. ხო—აპს. ღღეს აღძრულია კითხვა მართებლობისაგან ბლაღოჩინების ნიჲლაგი ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. ამ კითხვის შესახებ ჩვენ ჩვენი აზრი გამოვსთქვით და შეტის თქმა საქირო არ არის.

მღ. შ. გა—შელოფს. თქვენი სიტყვა ნამეტნავად დაშორებულია სინამდვილეს და არ იბეჭდება. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ გარეშე მტრები ვერ შემოგვესდებიან, რომ შინაური მტრები არ გვაწუხებდნენ...

მღ. იოანე კან—გას. მოწმობისათვის შეუძლია მღვდელს ათ შუღამდის გარდაახდენინოს მოხოვნელს.

მღ. კ. დინ—აპს. პირველი და მეორე თქვენი საემუო კითხვა განმარტებული იყო რამდენჯერმე წინეთ და ღღეს აღარ ვრაცხთ საქიროდ მათ განმარტებას. სამღვდლოება იღებს ჯამაგირებს ბლაღოჩინების საშუალებით, რადგან მათ სახელზეა გახსნილი კრედიტი.

მღვდელს არ შეუძლია მღვდელით დითხოვოს უმიზეზოდ. ჯილღოზე წარღვინების საქმე ბევრგან გამოურკვეველია და პატიოსანი მღვდელი და ნამდვილი მოძღვარი, სრულებით არ მიატყვეს ყურადღებას გარეგანი ნიშნების შეძენას და შოვნას. თუ მღვდელითმ თავის საგნები არ იცის, მღვდელს ყოველთვის შეუძლია ამაზედ განაცხადოს, სადაც ჯერ არს. ეკკლესიის ღვრბი შუატის ეკკლესიის სახელით არსებობს ზედ მიწერილ ეკკლესიაზედ არც მღვდელი უნდა იყოს და არც ბეჭედი საქირო. ყოფაქცევის ნიშნებად ბლაღოჩინები სწერენ: კარგის, ფრიალ კარგის და განსხვავებული კარგის, ვის რომელს დაუწერს, ეს მისი საქმეა; აღბათ მიზეზი რაზე უნდა ექნეს, მაგრამ ამ მიზეზების დასახელება ყოვლად შეუძლებელია. ათ თორმეტ კომო მრველს ყოველთვის შეუძლიათ გადაერიცხონ სხვა მახლობელ მრველში, თუ სამრველო ამით არ დამცირდება. მეათე თქვენი კითხვა ახორებულია და პასუხის გაცემა არ ღირს. 10 % მიღება სანთლის სარგებლიდან არც მღვდელსა და არც ბლაღოჩინისაგან არ არის კანონიერი.

მღ. დ. კ—გას. საქები და სამადლობელი ის შეწირულება არის, რომელსაც «ღრმა ჩაგონება» არა სჭირდება. არ იბეჭდება თქვენი წერილი.

მღ. ა—ნე შელ—ქს. ამ წელში გამოგზავნილი „მწყემსის“ ხელმოსაწერი ფულები ჩვენ მივღეთ წარსული წლების ანგარიშში.

მღ ი. ტატივეს. საცეცხლორის ნახშირი ღღეს გამოგზავნა ბორჯომში.

ბ. ია. გარგაქს. თქვენც ღღეს გგზავნებთა საცეცხლორის ნახშირი.



ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზრში, ქუთაისში—*«მწყემსი»*-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭკალაძეების და ე. ბეჟანეიშვილის წიგნების მაღაზრებში და ყ ე ი რ ი ლ ა შ ი — თვით გამომცემელთან.

1. საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

- 1. ლ. მ. ც. პ. ა. ნი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი ღვთისმეტყველების ისტორიული მოთხრობითა. ამ ლოცვანში არის მიფილი წლოს ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვით-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმ-დანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
- 2. წიგნი სწეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვილისა, ფსი . . . 10 კ.
- 3. სოციალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 30 —
- 4. ძონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყლით . . . 60 >
- 5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო ღვთების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >

2. სასაწილო და სხელმძღვანელო წიგნები.

- 1. დარგება საღმრთო სჯულის სწავლებებზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულთა როგორც სასაწილო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრეელო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფსი . . . 30 კ.
- 2. იგივე დარგება საღმრთო სჯულის სწავლებებზე რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებს ნიშნებით—ფსი . . . 40 კ.
- 3. დაწყებითი გავებითი საღმრთო სჯულის სწავლებებზე, ფსი . . . 15 —
- 4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფსი . . . 40 კ.
- 5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების

ღროს საქარო სხელმძღვანელო წიგნი—
ფსი ყლით . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფსი . . . 45 კ.

3. საეკკლესიო წიგნები და დარგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

- 1. ახალა კარბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიისა საქემო რჩეუ-საგან—ფსი . . . 1 მ.
- 2. დარგება მხედველობის დაცვასა და თვალეზის მოვლაზე, ფსი . . . 10 —

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი.

- 1. მცხეთის ტაძარი და წმ. ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფსი . . . 25 კ.
- 2. მეღათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მგუის დავით აღმაშენებ. . . 25 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 20 >
- 3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
- 4. მთავარ-მოწ. დამით და მონსტანტინე და მოწამის მონსტრინი.—ფსი . . . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
- 5. მარძის მონასტერი, ფსი . . . 5 კ.
- 6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარგებით.

- 1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . 2 —
- 2. ტაძალ მიყენება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2 —
- 3. ამალღება პატიოსნისა და ცხოველს-ყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2 —
- 4. შობა უფლისა . . . 2 კ.
- 5. მირძმა უფლისა, სურათით.—ფსი . . . 2 —
- 6. ხარება ჟოვალდ წმიდა ღმრთის-მშობლისა 2 —
- 7. ბწმბ სურათით—ფსი . . . 2 —
- 8. აღდგომა სურათით—ფსი . . . 2 —
- 9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2 —
- 10. ზელთუწელი ხატის ისტორია . . . 3 კ.

6. მოწამენი, დირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

- 1. წმიდა მ-წამე რაქდენი, სურათით, ფასი 5 კ.
- 2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
- 3. ძეგე დავით მესამე აღმაშენებელი 5—
- 4. თამარ მეფე, სურათით 5—
- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
- 6. იოანე ზედანელი 5—
- 7. შუშანიკი 3—
- 8. ქვეყანა დედოფალი 2—
- 19. აჩხალ და ლოარსაბი 5—
- 10. მეფე დავით III აღმაშენებელი 5—
- 1. იგივე ვრცელი 15 >

7. რელიგიური და სწავლებითი შინაწიხი წიგნები და სახუბრები:

- 1. წმიდანი მღვდელ-მთაპარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე მოძრპიკი, სურათებით—ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ—ფასი 3—
- 3. ცხოვრება წმ. გიორგი სწორის დიდის მთაპარის ვლადიმერისა 2—
- 4. ბნდრია პირველ წოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
- 5. სიკეთე მართლისა, კონსტანტინე პლატონის წიგნი 5—
- 6. მამოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბრისა შესწავლა იესო ქრისტესი 3—
- 7. შილბის სიკეთეობა მშობელთადმი 3—
- 8. მშობლების მოვალეობა შეილაღობი 3—
- 9. ენი ანთონ ჩენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ეძლიათ მათ 3—
- 10. იონჯებდით საუნჯესა ცათაშინა 3—
- 11. საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 12. — სწომ ზე 3—
- 13. სამეგარი სიკვდილი 5 >

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მუჰამადი სულთმან-ბაქშინი სურათით—ფ. 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიკვდილი მ.ო. მთა პირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსები 5—

საკები და მსაჯრობანი.

იმეკონებანი პატარა იფ-ფსაიანი-ხატები ფიცარხ სამოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრია, ივერის ღვთ-სმობლია, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესაწაულითა. ვინც დაბარებს ხატებს არა ხაკლებ ოკია, იმათ ჩენს საქართლოში ყველგან ფოსტის გასავაზენი არა გარდახდებს ამასთან იმეკონება სველ ქალღმებ ნახატი წმიდა ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახაულა წმიდანი მთაწამ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამევე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელთა და დავით აღმაშენებლისა ფ. თითო 5 კ. ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიყვრს არა ნაკლებ ერთი თუჰისა, ძს მანეთზე დავითობა 20 კ. ვინც ორ კაპიკან წიგნაკებს დ იბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასავაზნს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალ პატა ა გულთაკ დი ხატები ფურკადეული ლითონისა, სახელოდობი: ნინოსი, დავით და კონსტანტინეს, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითო 5 კ. ვინც ასა დაბარებს ნელ ფულზე, მას გააბენით დავითობა სპ მარ. ცხებით იმეკონებთან ვერცხლიაკ, ფასი 40 კ.

11. მსაჯრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
- 2. აკაკი წიგნელი. 25 კ.
- 3. თამარ მეფე 25 კ.

იმეკონება აგრეთვე შესავალი-გასავალი წიგნები და ყოველგვარი მოწამენი-ს ბლანკები და ამოყვითლობანი.

შ ი ნ ა რ ს ი:

სალიტერატურო განმარტება: მათი ყოველდღე უსამდევლოვობის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მიმართება დაბა ყვერილაში.—ფოქრი წინაშე გვირისა.—რა შედეგი აქვს მღვდლის ვალსელა-ვანდომსელს მრევლიდან მრევლზე.—როდის შესრულდება ასი წელიწადი ქართლ-კახეთის შეერთებისა რუსეთთან?—ჩინებები.—წერილი რედაქტორთან.—ქრხნალ-გაზეთებთან.—ასლი ამბები და შენიშვნები.—სწავლა და მისწავლა პრინციპალის სარწმუნო და კართლ-სწავლაზე: საჭიროა თუ არა, რომ მღვდლისა განდიდება-კურთხევა მივიღოთ? რედაქციის პასუხი.—განცხადება.